ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №307109

ნომერი: AR171990

თარიღი : 08.08.2012

გაცემის თარიღი : 13.08.2012

გაცნობის თარიღი : 15.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტი ბაგრატიონის სახ. ხიდს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ფატიმა მანჯგალაძე პ/ნ 01007003423
- თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 10 ბ. 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე საჩრდილობლის და სარეკლამო აბრის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, აგლაზის ქუჩა, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუსტი ბაგრატიონის სახ. ხიდს. შორის, შ.პ.ს. "ტატა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე საჩრდილობლის და სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ტატა"–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.05.010.001, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882012383736 27/07/2012წ. ასევე წარმოდგენილი მესაკუთრის თანხმობა, მინდობილობა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, აგლაზის ქუჩა, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუსტი ბაგრატიონის სახ. ხიდს. შორის, შ.პ.ს. "ტატა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე საჩრდილობლის და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge